ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N51

ქ. თბილისი 28 თებერვალი 2019 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, წარმოდგენილი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) ელენე დუმბაძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), ხოლო მეორეს მხრივ სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის არჩილ მორჩილაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი"-მა აიღო ვალდებულება გაუწიოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს ზემოაღნიშნული მომსახურება 4 017,16 ლარად ყველა გადასახადის ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

1. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების (33 ავტომანქანა) დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა ფასების ცხრილის მიხედვით, რომელიც დანართის სახით თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.2 კლასიფიკატოროს კოდი: **665 000 00; 665 141 10**.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან განახორციელონ გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

2.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

2.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

2.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - პაატა ცხელიშვილი.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება: 2019 წლის 01 მარტიდან 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით. დაზღვევის მოქმედება დაიწყება პოლისში აღნიშნული დაზღვევის ვადის პირველი დღის 00:00 საათიდან და დასრულდება პოლისში აღნიშნული დაზღვევის ვადის ბოლო დღის 24:00 საათზე.

3.2. მომსახურების გაწევის პირობები მოიცავს ავტომანქანების სრულ დაზღვევას 33 ავტომანქანისათვის, კერძოდ:

3.2.1 ავტოსატრანსპორტო საშულების გატაცება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;

3.2.2 ავტოსატრანსპორტო საშულების ან მისი ნაწილების დაზიანება ან განადგურება (რაც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევით, ხანძრით, თვითაალებით, მეხის დაცემით ან/და აფეთქებით, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ვანდალიზმით, რაიმე საგნის დაცემით, სტიქიური უბედურებებით (მათ შორის: მიწისძვრა, სეტყვა) ან უბედური შემთხვევით (მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დაზიანება გარე და აშკარა მიზეზებით);

3.2.3 ავტოსატრანსპორტო საშუალების კომპლექტაციაში არსებული ნებისმიერი დეტალის (ან/და დამატებითი აღჭურვილობის), მინების, სარკეების და ა.შ. ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;

3.2.4 სადაზღვევო შემთხვევის დროს, ასევე ნაწილობრივი დაზიანებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები, ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის შემთხვევაში, გამოყვანასთან დაკავშირებული ხარჯები;

3.2.5 უფლებამოსილი მძღოლისა და მისი მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან, ლიმიტი 10 000 (ათი ათასი) ლარი - ფრანშიზა 0%;

3.2.6 მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა - იფარება შემსყიდველის (დამზღვევის) პასუხისმგებლობა აანაზღაუროს მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანი - ლიმიტი 10 000 (ათიათასი) ლარი - ფრანშიზა 0%. ამასთან, თუ ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას წინამდებარე პირობებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაზარალებული მესამე პირის შემთხვევის ადგილიდან რეანომობილით ტრანსპორტირება შესაბამის კლინიკაში და მკურნალობასთან დაკავშირებული ყველანაირი ხარჯის ანაზღაურება, დაზარალებულის ნებისმიერი სახით მონაწილეობის გარეშე. მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევისას ანაზღაურებას დაექვემდებარება თანხა, რომლის გადახდასაც დაზღვეულს დააკისრებს სასამართლო მის მიერ დაზღვეული ავტომობილით მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანისათვის;

3.2.7 სასამრთლო გადაწყვეტილების გარეშე, მესამე პირი(ებ)სათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია იმ შემთხვეევაში, თუ ამგვარი ზიანის ოდენობა წერილობითი გზით, შეთანხმებულია მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;

3.2.8 ავტოსატრანსპორტო საშუალების შეფასებას ახორციელებს მზღვეველი, მის მიერ შერჩეულ სერვის-ცენტრში. დამზღვევს უფლება აქვს, მზღვეველის მიერ წარმოდგენილი შეფასება/კალკულაცია გადაამოწმოს მისი სურვილისამებრ შერჩეულ ავტოტექმომსახურების ცენტრში. ფასთა შორის სხვაობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება დამზღვევის მიერ წარმოდგენილ შეფასებას/კალკულაციას;

3.2.9 ავტოსატრანსპორტო საშუუალების დაზღვევა ნულოვანი ფრანშიზით;

3.2.10 ავტოტრანსპორტის განადგურებად ჩაითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი

შეკეთების ღირებულება აღემატება მისი ღირებულების 70 %-ს. სრული განადგურების შემთხვევაში მზღვეველი უზრუნველყოფს განადგურებული ავტოტრანსპორტის ჩანაცვლებას იგივე ტექნიკური მახასიათებლების, იგივე წლოვანების და იგივე მწარმოებლის ავტოტრანსპორტით. ჩანაცვლება განხორციელდება განადგურებული ავტოტრანსპორტის მზღვეველზე გადმოფორმების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე ვერ იქნება მოძიებული იგივე ტექნიკური მახასიათებლების, იგივე წლოვანების და იგივე მწარმოებლის ავტოტრანსპორტი, ჩანაცვლება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა ავტოტრანსპორტით. შემოთავაზებული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მახასიათებლები, წლოვანება და მწარმოებელი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. შემსყიდველის თანხმობის შემთხვევაში, გაფორმდება შესაბამისი შეთანხმება;

3.2.11 24 საათიანი ასისტანსი: საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უფასო, 24 საათიანი ავტო-ასისტანსის მომსახურება (საწვავის ადგილზე მიტანა; საბურავების გაბერვა, შეკეთება, გამოცვლა; მწყობრიდან გამოსული აკუმულატორის შემთხვევაში, ავტომანქანის დაქოქვა გადამყვანებით).

3.2.12 ყველა შემთხვევაზე ფრანშიზა- 0%;

3.2.13 დაზღვევის მოქმედების არეალი: საქართველო. აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი.

3.2.14 ზიანის ოდენობის განსაზღვრა და სადაზღვეო ანაზღაურების გაცემა:

ყველა საჭირო დოკუმენტის შეგროვებიდან და ზარალის დაანგარიშებიდან (ორივე შემთხვევაში ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 დღეს) არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში მზღვეველმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში უნდა შედგეს სადაზღვევო შემთხვევის აქტი და აქტზე მხარეთა ხელმოწერიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში უნდა მოხდეს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;

3.2.15 შემთხვევასთან დაკავშირებული დოკუმენტების შეგროვებას კომპეტენტური ორგანოებიდან უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

3.2.16 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, როდესაც ამ უკანასკნელის არსებობა ეჭვს არ იწვევს და შესაბამისად არ საჭიროებს საგამოძიებო ღონისძიებების გატარებას, ზარალი უნდა დარეგულირდეს არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში და სადაზღვევო ანაზღაურება უნდა გაიცეს არაუგვიანეს ზარალის დარეგულირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შეგროვებიდან და სადაზღვევო შემთხვევის შესახებ აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2.17 იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო მოქმედებები არ არის დასრულებული, მაგრამ შესაბამისი ორგანო გასცემს ოფიციალურ დოკუმენტს, რომ დაზღვეული ავტომანქანის მძღოლის ბრალეულობა სადაზღვევო შემთხვევაში არ იკვეთება, მზღვეველი ვალდებულია, მოახდინოს ანაზღაურება ზემოაღნიშნული დოკუმენტის გაცემიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

3.2.18 ავტოტრანსპორტის დაზიანებისას ზიანის ოდენობა დაანგარიშდება მზღვეველის მიერ შედგენილი და/ან დაზღვეულის მიერ წარმოდგენილი კალკულაციის საფუძველზე. ზიანის ოდენობაში შეიტანება აგრეთვე დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ გაწეული ხარჯი, რომელსაც ის მზღვეველთან შეთანხმებით გაიღებს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირებისათვის უახლოეს სარემონტო ადგილამდე, თუ დაზიანებულ ავტოტრანსპორტს დამოუკიდებლად მოძრაობა არ შეეძლება.

3.2.19 ავტოტრანპორტის ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან განადგურებისას სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სადაზღვევო თანხის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს

ავტომობილის საბაზრო ღირებულების;
3.2.20 ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან განადგურების რისკებით დამდგარი სადაზღვევო შემთხვევით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, სადაზღვევო პოლისი, შესაბამის ავტოტრანსპორტთან მიმართებაში გაუქმდება და სადაზღვევო თანხა შემსყიდველის მიერ დარჩენილ პერიოდზე არ გადაიხდება;
3.2.21 მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევისას ანაზღაურებას ექვემდებარება თანხა, რომლის გადახდასაც დაზღვეულს დააკისრებს სასამართლო მის მიერ დაზღვეული ავტომობილით მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალდება რამდენიმე მესამე პირი, ხოლო დაზღვეულზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობა გადაჭარბებს პოლისში მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურება ყოველი მხარის მიმართ მოხდება პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);
3.2.22 დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებამოსილება აქვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველა თანამშრომელს, რომელსაც გააჩნია მოქმედი მართვის მოწმობა.
3.2.23 ხელშეკრულება ითვალისწინებს შემდეგ გამონაკლისებს:
3.2.23.1 დაზღვეულ ავტომანქანას მართავდა პირი, რომელიც იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ; მძღოლმა უარი განაცხადა მისი მდგომარეობის დასადგენად შესაბმისი სინჯების ჩაბარებაზე ან/და მზღვეველთან არ იქნა წარდგენილი ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული თრობის/ზემოქმედების ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმი ან ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
3.2.23.2 მძღოლი მართავს ავტომანქანას მართვის უფლების გარეშე (მათ შორის მართვის უფლების დროებითი შეზღუდვის/ჩამორთმევის პერიოდში);
3.2.23.3 დაზღვეული ავტომანქანა გამოიყენება სადაზღვევო პოლისში მითითებული მოქმედების არეალის გარეთ;
3.2.23.4 სადაზღვევო შემთხვევის დროს დაზღვეულ ავტომანქანას მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი;
3.2.23.5 თუ შემთხვევა დაკავშირებულია მძღოლის ფსიქიკურ ან მძიმე ნერვულ აშლილობასთან ან ეპილეფსიურ შეტევასთან, თუ შესაბამისი დიაგნოზი დადგენილია სამედიცინო დაწესებულების მიერ უფლებამოსილი მძღოლისთვის წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე.

4. გაწეული მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.2 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას, ეტაპობრივად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის

განყოფილება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - პაატა ცხელიშვილის დასკვნის საფუძველზე, განახორციელებს ამავე განყოფილების უფროსი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ხვიჩა ბენდელიანი.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში.
6.2 გადახდის ფორმა: უნაღდო.
6.3 ფასი მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა გადასახადს.
6.4 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტის სახსრებით, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
6.5 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7. ფასები

7.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება: ლარში.
7.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 4017,16 ლარს.
7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობები მესამე პირს.
9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისთვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
9.3 შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველს, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
10.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო
11.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:
ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
გ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს ან ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;
დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი გზავნილი უნდა მოხდეს ფოსტის საშუალებით ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან, ვრცელდება 2019 წლის 01 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე და მოქმედებს 2019 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

17. სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი მის: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №2 სახელმწიფო ხაზინა ბ/კოდი: TBESGE22 ა/ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022 ს/კ 204 495 055	სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“ მის: ქ.თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №22 ს.ს „ფინკა ბანკი საქართველო“ ბ/კოდი: TBCBGE 22 ა/ა GE 76 FG 4260 2003 2721 2001 ს/კ 405 206 566
აპარატის უფროსი:	გენერალური დირექტორი:
----------/ე. დუმბაძე/	----------/ა. მოჩილაძე/